სამაგისტრო პროგრამა - რუსეთისმცოდნეობა
ანოტაციები

1. რუსეთის ისტორია და კულტურა მსოფლიო ცივილიზაციათა კონტექსტში

Russian History and Culture in the Context of World Civilizations

სტუდენტებს ვთავაზობთ ინტერდისციპლინარულ სასწავლო კურსს, რომელსაც ისტორიისა და კულტურის მეცნიერების მიმართულებების პედაგოგები გაუძღვებიან. მაგისტრანტებს შევასწავლით რუსეთის ისტორიული და კულტურული განვითარების საკითხებს ცივილიზაციათა თეორიის ჭრილში. ეს მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა, ფაქტობრივი მასალა გააზრებულ იქნეს კონკრეტულ ისტორიულ, კულტურულ და პოლიტიკურ კონტექსტში, მკაფიოდ განისაზღვროს რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეტაპები, რუსეთის მიმართება გარემომცველ სამყაროსთან განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, განვითარების თავისებურებანი და მათი განმაპირობებელი მიზეზები.

2. რუსეთის სამართლის, სამართლებრივი აზრის ისტორია და თანამედროვე რფ კონსტიტუციური სამართალი

History of Russian Law, Legal Thinking and Constitutional Law of Modern Russian Federation

სასწავლო კურსი მეზობელი სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი სამართალგანვითარების უწყვეტი პროცესის შესწავლის საშუალებას იძლევა. სამართლის ისტორიის ასპექტში მაგისტრატს ვთავაზობთ რუსული სამართლის ისტორიის პირველწყაროების, კონსტიტუციური სამართლის, კერძო და სისხლის სამართლის ინსტიტუტების, აგრეთვე სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის ჩამოყალიბება-განვითარების შესწავლას, უძველესი დროიდან დაწყებული XX საუკუნის ჩათვლით. სამართლებრივი აზრის ისტორია ლოგიკურად

ებმის სამართლის ისტორიის ცალკეული საკითხის ჩამოყალიბება-განვითარებას და საშუალებას იძლევა, თვალი გავაყოლოთ ამა თუ იმ დებულების თეორიულ დასაბუთებას, სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწისა თუ მეცნიერ-თეორეტიკოსის ნაშრომის მიხედვით. თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის შესწავლა საშუალებას გვაძლევს, მაგისტრატს მივაწოდოთ, ამომწურავი ცოდნა რფ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის კონსტიტუციური საფუძვლების, სახელმწიფოს მოწყობის თავისებურებების, ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებების, საარჩევნო სისტემის ორგანიზაციის შესახებ.

3. რუსული გეოპოლიტიკური აზროვნება: წარსული და თანამედროვეობა

Russian Geopolitical Thinking: Past and Present

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან რუსეთში გეოპოლიტიკური აზროვნების განვითარებას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გეოპოლიტიკურ სკოლებსა და კონცეფციებს, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა "ევრაზიელობას", რომელიც თანამედროვე პირობებში წამყვან გეოპოლიტიკურ კონცეფციად რჩება რუსეთში. სტუდენტები ასევე გაეცნობიან თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ თეორიებს და რუსეთის გეოპოლიტიკური ადგილის გააზრებას თანამედროვე მსოფლიოში. სტუდენტები შეისწავლიან, თუ რა ადგილი ეთმობა და როგორაა წარმოდგენილი რუსულ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში საქართველოსა და კავკასიის პრობლემატიკა.

4. რუსეთის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა

Economic Policy of Russia’s Development

სასწავლო კურსის ფატგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის იმ პრიორიტეტებს, რომლებიც დადებითად მოქმედებს ეროვნული მეურნეობის განვითარებაზე და ქვეყანას წარმატებული განვითარების საშუალებას აძლევს. რუსეთის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის კურსის შესწავლით სტუდენტები ეცნობიან რუსეთის ეკონომიკისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების რთულ პრობლემებს, სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების ლოგიკას და ფუძემდებლურ პრინციპებს, ქვეყნის განვითარების პროცესებზე ზემოქმედების მექანიზმებს, მათი გამოყენების თავისებურებებს, კონკრეტულ სიტუაციებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრის ფაქტორებს.

5. **რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების პრობლემა**
   Problem of Belonging of Russian Civilization

სტუდენტები გაეცნობიან რუსეთის ცივილიზაციური რაობის პრობლემასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს, რუსეთის ადგილისა და როლის განსაზღვრის მცდელობებს: მოსკოვი მესამე რომის თეორიას და მის ტრანსფორმაციას XV საუკუნიდან დღემდე, ევროპისა და აზიისადმი დამოკიდებულების საკითხის განსხვავებულ ვერსიებს XVI-XVII საუკუნეებში, "ევროპისაკენ ფანჯრის გაჭრას" და მის შეფასებას თანამედროვეთა და მემკვიდრეთა მიერ, რუსეთის ისტორიული განვითარების გზისა და სამომავლო პერსპექტივების სხვადასხვა ხედვას XIX საუკუნეში, ევრაზიელობის თეორიას, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ადგილის ძიებას XX საუკუნე.

6. **ევროპელები რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის შესახებ (XVIII - XXI სს.)**
   Europeans about Relationships between Russia and Caucasian Countries (XVIII-XXI Centuries)

სასწავლო კურსი XVIII-XXI საუკუნეების რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების (მათ შორის რუსეთ-საქართველოს) ურთიერთობების ისტორიის საფუძვლიანად შესწავლას ითვალისწინებს; სტუდენტები გაეცნობიან ევროპულ წყაროებს, გააანალიზებენ და შეადარებენ ქართულ, რუსულ და სხვა წყაროებს. ევროპული მასალების დამუშავების პარალელურად განვიხილავთ როგორც კავკასიის ქვეყნების, ასევე რუსეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს. ამ მასალების გათვალისწინება საკმაოდ დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს მრავალი საკითხის გარკვევაში. მათ უნდა შეძლონ სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების შეფასება, რუსეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ არსებული პრობლემური საკითხების ობიექტურად გაშუქება და დასკვნის გაკეთება.

6.გლობალიზაცია და რუსეთის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა

Globalization and Russia's National Economic Policy

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებებს, რუსეთის ეკონომიკის ადგილს გლობალურ ეკონომიკაში. შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: გლობალიზაციის ზემოქმედება ეროვნული სახელმწიფოების ბედ-იღბალზე; შეუძლია თუ არა სახელმწიფოს დამოუკიდებლად ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა; როგორ ნაწილდება ფუნქციები ეროვნულ სახელმწიფოსა და ზეეროვნული რეგულირების ორგანოებს შორის ეკონომიკის წარმართვის პროცესში; რუსეთის ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირების პრობლემები. განვიხილავთ ნეოლიბერალური მოდელის თეორიულ-მეთოდოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს, "ვაშინგტონის კონსენსუსის" დოქტრინის არსსა და გამოყენების პრაქტიკულ გამოცდილებას განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. გავაანალიზებთ რუსეთის თანამედროვე გეოეკონომიკურ-გეოსტრატეგიული პოზიციებსა და ინტერესებს.

7. რუსეთის ეკონომიკა
Russian Economy

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან რუსეთის ერთობლივ ეკონომიკურ პოტენციალსა და მის შემადგენელ ელემენტებს; რუსეთის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესახებ; განუვითაროს ანალიტიკური აზროვნების უნარ–ჩვევები.

8. რუსეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები
Foreign Economic Relationships of Russia

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან საგარეო ეკონომიკური საქმიანობის როლს რუსეთის ეკონომიკაში, მისი მართვის ორგანიზაციას სახელმწიფოსა და ფირმის დონეზე, საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის პრინციპებსა და პრიორიტეტებს, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე, რუსეთის ადგილსა და როლს მსოფლიო ეკონომიკაში, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სისტემასა და პრინციპებს, საგარეო სავაჭრო პოლიტიკასა და მისი რეალიზაციის საშუალებებს, საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციებსა და კანონზომიერებებს; საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას; რუსეთის როლს საქონლის, მომსახურებისა და ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრებზე, კაპიტალისა და შრომის საერთაშორისო მოძრაობაში; რუსული კომპანიების საერთაშორისო საქმიანობას, საერთაშორისო თანამშრომლობის გეოეკონომიკურ მიმართულებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარების პერსპექტივებს.

9. **რუსული ფილოსოფია**
Russian Philosophy

სასწავლო კურსი ითვალისწინებს რუსული ფილოსოფიური სკოლისა და დისკურსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესისა და პოსტულატების სწავლებას. სტუდენტები გაეცნობიან რუსული ფილოსოფიის საკითხთა და პრობლემათა ფართო სპექტრს. განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეების რუსულ რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლას, რომელიც რუსული მართლმადიდებლობის, რუსული ლიტერატურის მსოფლმხედველობრივი ტრადიციებისა და კლასიკური და მოდერნისტული დასავლური ფილოსოფიის სინთეზის შედეგად წარმოიშვა.

10. **თანამედროვე რუსეთის პოლიტიკა**
Modern Russian Policy

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სახელმწიფოებრივ განვითარებას პოსტსაბჭოთა პერიოდში. გაეცნობიან ამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას და ძირითად პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ევოლუციას, ძირითად პრიორიტეტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს.

11. **აკადემიური წერა და სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი**
Academic Writing and Master's Thesis Design

სტუდენტი ეუფლება თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდებს და მათი პრაქტიკული გამოყენების ხერხებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში; კვლევის დაგეგმვის, ორგანიზების,

მიღებული შედეგების ზეპირი და წერილობითი გადმოცემის ფორმებსა და წესებს; აკადემიურ სფეროში დამკვიდრებულ ქცევის, მეტყველების, წერის, საჯარო გამოსვლის ფორმასა და სტილს; კანონებს, რომლებიც სამეცნიერო გამოცემებში (პუბლიკაციებისათვის) არის დადგენილი.

12. პოსტსაბჭოთა პერიოდის კავკასიის კონფლიქტები

Caucasian Conflicts of Post-Soviet Period

კურსი მაგისტრანტებს სთავაზობს პოსტ-საბჭოთა კავკასიის კონფლიქტების ახალი პერსპექტივიდან ანალიზს, განსხვავებით ისტორიული მიზეზებისა, ეთნიკურობის პოლიტიზაციისა ან რელიგიური დაპირისპირებებისა. კურსის ფარგლებში კომპარატივისტულ კონტექსტში დეტალურადაა გაანალიზებული ელიტებისა და მათი ორგანიზაციების როლი რეგიონის თითოეული კონფლიქტის შემთხვევაში. საბჭოთა პოლიტიკის როლი, უმცირესობების ინსტიტუტების მშენებლობის კონტექსტში და პოსტ-საბჭოთა პერიოდში ამ ინსტიტუტების მანიპულირება უმცირესობების ნაციონალური ორგანიზაციებისა და მათი ელიტების მიერ. დეტალურადაა გააზრებული შიგა და გარე "ორგანიზაციების" როლი კომპარატივისტულ ჭრილში; მათი ურთიერთქმედების პარალელურად დანახულია პოსტ-საბჭოთა პროცესებზე მათი ზეგავლენა.

13.Русско-грузинские литературные взаимоотношения

Russian-Georgian Literary Relationships

Представить студентам историю богатейших русско-грузинских литературных взаимосвязей. Ознакомить студентов с основными аспектами отражения русской классики в грузинском общественном и эстетическом сознании. Представить восприятие рускими писателями Грузии на разных исторических этапах, определить роль Грузии и грузинской культуры в

произведения русской классики. Освоить основы историко-функционального метода исследования на примере русско-грузинских литературных контактов. Представить многомерность русско-грузинских взаимосвязей 20 столетия, взаимовлияние литератур.

14.Этнопсихолингвистика славянского мира

Ethnopsycholinguistics of Slavic World

Ознакомить студентов с основными положениями современного языкознания и этнопсихолингвистики, с основными существующими направлениями психолингвистики, а также методами психолингвистического анализа; дать представление о системном устройстве языка, о специфике языковых уровней и их единиц. Помимо получения теоретических знаний особое внимание уделяется выработке практических навыков этнопсихолингвистического анализа.

15.უახლესი რუსული ლიტერატურის ისტორია

History of Contemporary Russian Literature

Предложено целостное прочтение в систематизированном и прокомментированном виде с совмещением анализа особенностей современной русской литературы в наиболее значительных её образцах в границах конца XX - начала XXI веков с сопутствующим определением совокупности рабочих понятий и установок, лежащих в основе этой словесности, воссоздающей нечто большее, чем механический набор разного рода произведений.